N 197 11/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ქურიძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად , იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2)იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში, ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე 12 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დავესწარი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას 5-ჯერ, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას 16-ჯერ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომას 7-ჯერ. რომელზეც განვიხილეთ ყველა ის საკითხი რომელიც საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე გავიდა განსახილველად და დასამტკიცებლად, კომისიები განხილულ საკითხებზე იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებებს რომელიც აისახებოდა კომისიის სხდომის ოქმებში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

ასევე მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, ასევე გაცნობებთ, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა.

ასევე მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და დახმარებებზე რომელიც მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

- ნათელა ურუშაძის ეზოსთან სანიაღვრე არხის მოწყობა
- მუსხელიშვილის ქუჩის მონაკვეთიდან სასაფლაომდე სანიაღვრე არხის მოწყობა
- ავთო თურქიას ეზოსთან გაბიონი გაკეთება

- თამაზ ურუშაძის სახლთან გაბიონისა და ხიდის შეკეთება
- ნოზაძის სახლთან მილხიდი მოწყობა
- ორაგვის კარიერთან ნაპირსამაგრი გაბიონი მოწყობა
- რეგიონალური ფონდის მხარდაჭერით მოეწყო წმინდა გიორგის ქუჩაზე სანიაღვრე არხი

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გავუწიე 25 ადამიანს, აქედან 22 ადამიანს დახმარება გაეწია მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამაზე, ასევე დახმარება გაეწიათ ადამიანებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების, ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკულ უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამებზე.

2018 წელს მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 2 ოჯახს ერთჯერადად გაეწია დახმარება.

2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახს 2018 წელს გაეწია დახმარება კერძოდ გადაეცა სახლის სახურავის საჭირო სამშენებლო მასალა , ასევე 2018 წლის 3 მარტისა და 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავის საჭირო სამშენებლო მასალა. ასევე 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 3 ოჯახს სრულად გადაეხურა სახლი მუნიციპალიტეტის სრული უზრუნველყოფით.

ხოლო რაც შეეხება 2019 წელს სოფელში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოგახსენებთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს:

- სრულდება მშენებლობა მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის
- სოფელ ორაგვეში რემონტდება ადმინისტრაციული შენობა
- სოფელ ჯუნჯუათში გაკეთდება 70 მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხი

მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

გოდერძი ქურიძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები